№ 136

ხუთშაბათი, 29 ივნისი 1895

1877—1895

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 136

ხუთშაბათი, 29 ივნისი 1895

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 1 ივლისს.

**«ივერიის» რედაქციისაგან:** ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**

**ვ. ი. ჯიჯინაძისა** და **ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—ადა საღამოს 4—7 საათამდე.

საზაფხულო მუსიკ. კრუჟ.

ხუთშაბათს, 29 ივნისს,

ქართული ხორო **ბ. ი. ი. რატილის** თაოსნობით გაჰმართავს

## კონცერტს.

I

1, თამარის დროშა;
2, ოდელია ნანინა (მეგრული);
3, ნანა (კახური);
4, მაყრული (ქობულეთური);
5, შაშვი კაკაბი (ქართლური);
6, ცხენოსნური (გურული);
7, ორთავ თვალის სინათლევ (სოლოს შესრულებს ბ. რატილი ხოროს აკომპონიმენტით).

II

ბ-ნნი გედევანიშვილი და შათირიშვილი იმღერებენ კომიკურს კუპლეტებს.

ბ-ნი ადამიძე წაიკითხავს სხვა-დასხვა სცენებსა და ლექსებს ჩანგიდგან.

III

1, ხევ-ხევ თეონა (ქართლური);
2, ნანინა (მეგრული);
3, ეს ბაღი (სოლოს შესრულებს პ. რატილი ხოროს აკომპონიმენტით;
4, არალ ალი არალო (ქიზიყური);
5, მაყრული (გურული);
6, გული მიწუხს (სოლოს შესრულებს ბ. რატილი ხოროს აკომპონიმენტით);
7, ცანგალა გოგონა, ცეკვით.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ-წინ, 27 ივნისს, რკინის გზის მმართველობამ საღამოთი კიდევ გაგზავნა მუშები მისაშველებლად ბელაგორსა და მარელისს შუა ჩამოწოლილ ზვავის გასაწმენდად, მაგრამ არ გაუთავებიათ გზის გაწმენდა, ასე რომ დღეს თუ დაიწყებენ მატარებლები სიარულს.

*** იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ბორჯომს გამგზავრებულა, სადაც ორ თვეს იცხოვრებს. მისის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი.

*** ეს რამდენიმე დღეა ტფილისში მეტის-მეტი სიცხე დადგა. გუშინწინ, შუადღისას, მზეზედ გამოკიდული ტერმომეტრი 40 გრადუსზედ მეტს აჩვენებდა; ღამ-ღამობითაც-კი ძლიერ შეხუთულია ჰაერი.

*** ორაშაბათს, 26 ამ თვეს, ნაშუაღამევის პირველ საათსა და 41 წუთზედ მიწა იძრა ტფილისში.

*** გუშინ ღამ ბანკის თეატრში, ხარკოველ არტისტებმა დაიწყეს წარმოდგენები. ითამაშეს ორი პიესა „ტარტუფი“ და „კანონიერ საფუძველზედ“. ჩინებულად, ცოცხლად ითამაშეს თითქმის ყველა მოთამაშეებმა. უმთავრესს როლებს თამაშობდნენ ნიჭიერი ცოლ-ქმარნი პეტიპა. ტარტუფი დაწერილია მოლიერისაგან. თითქმის ორი საუკუნეა მას აქეთ და ახლაც მაყურებელს იმისი მოსმენა დიდს სიამოვნებას ჰგვრის. თვით ტარტუფის როლს ასრულებდა მ. პეტიპა. ფარისევლური მიხვრა-მოხვრა, შემპარავი კილო, ცისადმი თვალების აღპყრობა, კრიალოსნის ხმარება—ესენი ყველაფერი ზომიერად და როლის შესაფერად დაგვიხატა არტისტმა. მხოლოდ უკანასკნელი მოქმედება, რომელშიაც ყოველივე მისს ბიწიერებას და ფარისევლობას ფარდა აეხდება, არტისტმა ვერ გამოხატა ისე ძლიერად, რამდენადაც როლი მოითხოვდა. უკანასკნელი პიესა „კანონიერ საფუძველზედ“ ნამეტანი სასაცილო ფარსია და ძალიან ლამაზათც ითამაშეს.

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი, შედგენილი ფილიმონ ქორიძის-მიერ: „სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის“. ერთის გადასინჯვით სჩანს, რომ სახელმძღვანელო საკმაოდ სრულია და გასაგებათ არის დაწერილი. წიგნი გამოცემული კარგად არის, ღირს სამი აბაზი.

*** დღეს, 29 ივნისს, ქართული ხორო რატილის თაოსნობით გაჰმართავს კონცერტს. ხორო იგალობებს: კახურს, ქართლურს, გურულს, ქიზიყურს, ქობულეთურსა და მეგრულ სიმღერებს. გედევანიშვილი და შათირიშვილი იმღერებენ კომიკურს კუპლეტებს, ადამიძე წაიკითხავს სხვა-და-სხვა სცენებს და ლექსებს ჩანგიდგან.

*** უზუნ-ადადგან ვაჭარს ფითოევს თვისი ადგილობრივი აგენტი სწერს შემდეგს დეპეშას: „ოც-დაექვსს ამ თვეს ღამის სამს საათზედ მიწა იძრა. წყალი ნაპირებზედ გადმოვიდა და უზუნ-ადა წყალით მოიცვა. დაიქცა სახლი, საცა კანტორაა მოთავსებული, შენობა, რომელშიაც მე ვცხოვრობდი, ნახევარი ნავთ სადგური და ნოქრების საცხოვრებელი შენობა, დაგლიჯა აგრეთვე ლობეები, ნავთ-სადგური კასპის ზღვაში დაიმალა.

*** სამტრედიაში საქველ-მოქმედო აზრით რუსეთში მიმავალის მოწაფის სასარგებლოდ 25 ივნისს საღამოთი იქაურ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქმანა: „ხანუმა“ კომედია სამ მოქმედებად ცაგარლისა და „სამშობლოს“ უკანასკნელი მოქმედების მეორე სურათი.

ხალხი ბლომად დაესწრო და როგორც ვიცით ხარჯს გარდა ორმოცდა-ათი მანეთი დარჩა.

*** იმერეთის ეპარქიის 80 სამრევლო-საეკკლესიო სკოლების რიცხვში ორმოცს გამართული ჰქონია სამაგალითო ბოსტნები და ბაღჩები. ამ მხრით სამრევლო სკოლებს, რომელთაც განაგებს ადგილობრივი სასკოლო რჩევა, ბევრით უჯობნიათ სამინისტრო სკოლებისათვის („მეურნე“).

*** ეხლავე დიდად სასარგებლო შედეგი მოჰყვა „ქუთაისის გუბერნიაში მეაბრეშუმეთა პირველის საზოგადოების“ დაარსებას: დღემდის რომ

## ფელეტონი

—

**ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთი *) და მისი მეურნეობა.**

(საზოგადო სურათი —ბუნებრივი სიმდიდრე. მეურნეები და სამეურნეო საზოგადოებანი. —მთავრობის როლი მეურნეობაში).

მოსახიბლავს სურათს წარმოადგენს ეს მხარე, როცა მაღლობიდგან დაჰყურებთ თქვენს წინ გადაშლილს არე-მარეს. მისი საერთო სურათი მკვირცხლ და გამჭრიახ დიასახლისის დაწკრიალებულს (თუმცა მცირეს) ოჯახს მოგაგონებთ: რაცა აქვს ყოველისფერი დაწმენდილ-დალაგებული, ყოველისფერი სუფთად და რიგზედ. გსურთ რომ სულ უყუროთ, დასტკბეთ მისის ცქერით... ტყე, სახნავ-სათესი, ვენახ-სათიბი, ყველა მოჭრილ-მოზომილი თავისს ადგილასაა, არც ერთი ბუჩქიც უადგილოდ და უხეიროდ არსად არ მოსჩანს. ყველგან ერთფეროვნობაა, თითქოს ბუნება კაცის ხელს დამორჩილებოდეს. დაწკრიავებული, ძაფსავით გაბმული გზა-ტკეცილები, რკინის გზის ლიანდაგები და წყლის არხი (ესეც ხეებით დაჩრდილული) ბადესავით სწნავენ ამ მწვანე-ხავერდოვანს მიდამოს. სიცოცხლე სდუღს, ყველგან მოძრაობაა: ძირს მეურნე თავისს საწერკალმით თვისს „დღიურს“ სწერს, იქ შორს გზა-ტკეცილზედ ან ეტლი ან ველოსიპედი მიცქრიალებს, აქ, ძირს რკინის გზის მატარებლები წივილკივილით მიჰფრინავენ. აქა-იქ გორის ძირებიდგან ქარხნები, თავისს უზარმაზარ ცაში-ამართულ კომლის მილებითა და შენობებით შავად გამოიყურებიან და მძიმე ხმაურობით თითქოს მუქარას უგზავნიან არე მარეს. არც წყლის არხია უქმად: რამდენიმე უზარ-მაზარი, მძიმედ დატვირთული ნავი მასზედაც მოსჩანს.

ამ საერთო სურათის დანახვაზედ გული რაღაცა საიდუმლო სიხარულით და იმედებით გევსებათ. ის შავი და მწარე ფიქრები, რომლებიც გეღვიძებათ ჯგუფად დასახლებულ ქალაქის პირების ნახვაზედ, აქ თითქოს ჰქრებიან, გსურთ დაივიწყოთ იქ ნანახი პატარა, ბნელი, ბეჩავობით სავსე ოთახები, მისი გამხდარი, შიშველ-ტიტველი და ჩაყვითლებული მდგმურები, მათი სიბრაზით სავსე თვალები და გსურთ სულ ამ ახალს სურათს უყუროთ, ოცნებებს სრული თავისუფლება მისცეთ. მაგრამ ზედმოქმედება სამწუხარო სურათისა იმდენად ძალოვანია, რომ ახალ სურათის ნახვაზედ არამც თუ არ ჰქრება, არამედ ჰგრძნობთ, რომ უფრო მატულობს, გსურთ შეადაროთ ეს ორი ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგი სურათები და სდგეხართ რაღაც გამოურკვეველს მდგომარეობაში. გაჰყურებთ შორს და თქვენ წინ ერთსა და იმავე ჩარჩოში ეს ორი (სხვა) სურათი გეხატებათ: „აი ეს ერთი მშვენიერი სურათი, ჰფიქრობთ თქვენ, ეს იმ მეორე მწირისა და დაჩაგრულის ნაწილია. მეორე რა მიზეზია, რომ ერთი ნაწილი ქვეყნისა ასე აჰყვავებულა და მეორე-კი ასეთს სამწუხარო მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ან იქნება საჭირო იყო ერთის დაცემა მეორესათვის? ნორმალურის პროგრესისთვის ასეთი „ღმერთმან ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წასწყმიდოს“, როგორც მოგეხსენებათ, საჭირო არ არის!

ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთი თავისის ბუნებრივის სიმდიდრით და მეურნეობით საფრანგეთის ერთი საუკეთესო ნაწილია.

ამ მხრის ბუნებრივს სიმდიდრეს შეადგენს რკინა, ქვის ნახშირი, ქვამარილი და წყალ-მარილი *). წარმოება ამ საგნებისა ძალიან დიდია. ამას ხელს უწყობს გზის მისვლა-მოსვლის სიადვილე. უფრო კი არხი, რომლის სიგრძე 315 კილომეტრია, (სჭრის მორტ-მოზელის დეპარტამენტს ქალაქ ნანსიში და გადის ელზას-ლოტრინგიაში). და მასზედ გადატან-გადმოტანის ფასი რკინის გზასთან გაცილებით მცირეა. მისი მნიშვნელობა კომერციისათვის დაუფასებელია.

ნიადაგი და ჰავა ამ მხარისა, საუკეთესოა აქაურ მეურნესათვის, აქ საუკეთესოდ ხეირობს თითქმის ყველა დიდ მეურნეობის მცენარე, როგორიც არის ხორბლეულობა, კარტოფილი, ჭარხალი და სხ. არც ვაზი აკლია აქაურობას, თუმცა თვისებით მცირეა სამხრეთისაზედ, მაგრამ მაინც საპატიო ადგილი უჭირავს, რადგან ჯერ ფილოქსერას აქამდის არ მოუღწევია.

როგორც საზოგადოდ საფრანგეთში, ისეც კერძოდ ამ მხარეში, პატარ-პატარა ნაჭერ მიწის მფლობელობა არამც თუ ჯერ არ გამქრალა, არამედ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ჯერ კიდევ სუფევს. (ამ ჟამად საფრანგეთში 1 ჰექტარიანი წარმოება (explaitation) ითვლება 1, 083, 833 ჰექტარი, 1—10 ჰექტარიანი—11,366, 274 ჰექ., 10—40 ჰექტარიანი—14,845, 657 ჰექ. და 40 მეტი—22,266,104 ჰექ.,) ძალიან ხშირად შეხვდებით, მომეტებულად სოფლად, 1—10 ჰექტარის მქონეს.

მიწის მფლობელები, მიწის რაოდენობის დაგვარად, განიყოფებიან სამ რიგად: პატარა, საშუალო და დიდი მიწის მფლობელი. პატარად ითვლებიან ისინი, ვისაც 1—10 ჰექტრამდისა აქვს, საშუალოდ 10—40 დის და დიდად—ვისაც 40—ზედ მეტი. (1 ჰექტარი ჩვენს დღიურზედ ცოტა მეტია). მხოლოდ როგორც მეურნე ისახელებიან შემდეგ ნაირად პატარა, საშუალო და დიდი მეურნე. —მებატონე, რომელიც მხოლოდ თავისს საკუთრებას ჰმუშაობს; მეფერმე—მებატონე, რომელიც ჰმუშაობს როგორც თავისს საკუთრებას, აგრეთვე იღებს სხვის მიწასაც და მეფერმე—არა მებატონე ანუ სპეკულიატორი, რომელიც მთლად სამუშავარ მიწას ქირით იღებს.

მას შემდეგ, რაც კაპიტალი ერთ უუსაჭიროეს ფაქტორად და სულის —ჩამდგმელად ჩაითვალა ყოველს გვარს წარმოებაში, შეუძლებელი იყო, რომ მეურნეობას იმისთვის მხარი აექცია და არც შეეძლო თუ უნდოდა, სხვა წარმოებას არ ჩამორჩენოდა და დაეკმაყოფილებინა ის საჭიროებანი, რომლებიც კაპიტალისტურმა წეს-წყობილებამ დაჰბადა. ის აუარებელი ბრბო მუშა ხალხისა, რომელიც კაპიტალმა ქალაქებისკენ გაიტაცა და არა-მეურნეების გამრავლება თხოულობდა მატერიალურს დაკმაყოფილებას. თანამედროვე მეურნეობის სისტემას-კი ვერ შეეძლო მისი დაკმაყოფილება, რადგან მაშინდელს მეურნეს საზოგადოდ მოჰყავდა ის, რაც მისთვის უსაჭიროეს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო. ხალხის მოთხოვნილება-კი თან და-თან უფრო მატულობდა, მოცდა შეუძლებელი-და იყო. კაპიტალმა მაშინვე მოჰკრა თვალი ამ მძღარს ლუკმას და მაგრად ჩაეჭიდა. ან რად გაუძნელდებოდა? საგნის

*) ასე იწოდება ერთი მეოთხმეტე ნაწილი (région) საფრანგეთისა.

*) ჩვეულებრივ ხმარების გარდა, ამ მარილის წყლიდგან მზადდება მრავალგვარი ქიმიური მარილი, რომლითაც არამც თუ თვით მთელი საფრანგეთი იკმაყოფილებს საჭიროებას, არამედ საზღვარ-გარეთაც იგზავნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გირვანქა პარკი 17 კაპეიკს ზევით არ გაყიდულა, დღეს ამ საზოგადოებამ ხუთი შაური გამოაცხადა ფასად გირვანქა პარკზე, ამის წყალობით სხვა-და-სხვა კუთხის ჩარჩები იძულებული შეიქნენ თავის მხრივაც აეწიათ ფასები და ასწიეს კიდეც ექვს შაურამდე. მაგრამ მიუხედავად ამისა მეაბრეშუმეებს მაინც საზოგადოების კანტორაში მიაქვთ ხუთი შაურის ანგარიშზე თავიანთი პარკები. მიზეზი ამ მოვლენისა ის არის, როგორც თვით გვითხრა ერთმა მაღლაკელმა გლეხმა, რომ საზოგადოების კანტორა წონაში არ ატყუებს და გარდა ამისა გამყიდველთ აღთქმული აქვთ, და ამაში ფორმალურ ბარათებსაც აძლევენ მათ, რომ თუ აღნიშნულს ფასს ზევით გაიყიდა საზოგადოებისაგან მათი პარკი ზედ მეტად აღებული მათ შორისვე განაწილდება წლის თავზეო („მეურნე“).

## კორესპონდენცია.

**დ. ჩხარი,** შორაპნის მაზრა). განათლება ისეთის სისწრაფით ვრცელდება ამ ჟამად ყოველს მხარეს, რომ თითქმის სრულებით მიყრუებული ადგილებიც-კი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, როგორმე სკოლა გაიმართონ და ცოტათ თუ ბევრად წინ წასწიონ თავიანთი შვილები წერა-კითხვის შესწავლითა და ჭკუა-გონების განვითარებით. ყოველი მხრიდგან მოისმის სურვილი სკოლებისა და წიგნთ-საცავეის დაარსებისა, მხოლოდ, საუბედუროდ ჩვენდა შორაპნის მაზრაში არის ისეთი სასოფლო საზოგადოება, რომელიც სრულიად არ ზრუნავს ამ საგნებისთვის; ისეთი საზოგადოება, რომელიც ერთის მხრით ოცისა თუ ოც-და-ხუთის ვერსის სიშორეზედ უძევს ქ. ქუთაისს და მეორეს მხრით თხუთმეტისა თუ ოცი ვერსის სიშორეზედ სამაზრო ქალაქ ყვირილას და რკინის გზას; და ეს საზოგადოება სრულებით მოკლებულია ყოველ-გვარს მისწრაფებას სკოლებისა და წიგნთ-საცავის დაარსებისადმი. ნეტავი, რა უნდა იყოს ამის მიზეზი? შეიძლება იფიქროთ, რომ ხალხი ისე ღარიბია, რომ არ შეუძლია იკისროს ისეთი მძიმე ტვირთი, როგორიც არის სკოლის საქმე! არა, ეს სრულებით ასე არის! მართალია მდიდარი არ არის ჩვენი ხალხი, მაგრამ არც იმდენი სიმდიდრე არის საჭირო ათას კომლიანის საზოგადოებისათვის, რომ ერთი სკოლა დაიარსოს და მისი შენახვა მოახერხოს. ამ საქმეს უნდა მხოლოდ ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლოს საქმის დაწყება და მერე ეს საქმე უთუოდ დაგვირგვინდება სასურველად.

შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ ამ საზოგადოებაში სამრევლო სკოლები არსებობენ და მაშასადამე ან-ბანის სწავლა ყოველთვის შეუძლია ჩვენ შვილებსაო. დიაღ, მართალია მაგრამ რა სარგებლობა უნდა მოუტანოს საზოგადოებას ისეთმა სკოლამ, რომელიც მხოლოდ იმისთვის დაუარსებიათ, რომ მასწავლებლობის შემდეგ მღვდლად ეკურთხოს? ან სად არის ჩხარის საზოგადოებაში ისეთი სკოლა, რომ ცოტათ თუ ბევრათ მომზადებული მასწავლებელი ჰყავდეს? მე მგონი ვერავინ ვერ დამისახელებს ამგვარს სკოლას ჩხარის საზოგადოებაში. ამნაირ მასწავლებლებს სკოლა მიაჩნიათ იმ საშუალებათ, რომლის შემწეობითაც შეუძლიათ მათ მიიღონ სამღვდელო ადგილი და, რასაკვირველია, მხოლოდ ოფიციალურად არსებობს სკოლა და არა ხალხის დასაწინაურებლად.

ჩხარის საზოგადოებაში არსებობდა მხოლოდ ერთი რიგიანი სამრევლო სკოლა, რომელსაც შეეძლო მართლა დიდი სარგებლობა მოეტანა ამ საზოგადოებისათვის, მაგრამ ამ სკოლასაც მალე მოეღო ბოლო. ამის მიზეზიც სწორედ სხვა-და-სხვა ინტერესები იყო. ხსენებული სკოლა ააშენა ერთმა აქაურმა პატივცემულმა მემამულემ ბ. ნ. ჩ—ძემ. მშვენიერი ოთხ-თვალი ქვითკირის შენობა გააწყო ყოველგვარის სასკოლო ნივთებით და სთხოვა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს, რომ მას დაენიშნა რიგიანი მასწავლებლები. ეპისკოპოსმა დანიშნა მასწავლებლები და სკოლამ მართლაც შესამჩნევად წაიყვანა თავისი საქმე. მასწავლებლებიც შესაფერი იყო და საქმეც კარგად მიჰყავდათ, როგორც ამბობდნენ, მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ მასწავლებლების უთანხმოებამ და ერთმანეთთან ბრძოლამ გამოუთხარა ძირი ამ კეთილს საქმეს. ორივე მასწავლებლებს სამღვდელო ადგილზედ ეჭირათ თვალი და აბა როგორ უნდა გაეყოთ ერთი ადგილი, თუ არ დაემუშტრებოდნენ ერთმანეთს. მასწავლებლებმა ასტეხეს ომი, შექმნათ სასტიკი ბრძოლა, არა ფიზიკური — „პოლიტიკური“, იჩინა თავი საყოველთაო ბუნების კანონმა „ბრძოლამ არსებობისათვის“ და კიდევაც მალე მოეღო ბოლო.

სკოლაში 150-მდე ყმაწვილი დაიარებოდა და ამ ბრძოლის შემდეგ-კი მეათედიც აღარ დარჩენილა. სასკოლო შენობის ამგებმა ბ. ნ. ჩ—ძემ, სკოლის მზრუნველმა, ამ საქმეს ყურადღება მიაქცია. სთხოვა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს, რომ ეს მასწავლებლები მოეცილებინათ ამ სკოლისათვის, მაგრამ მისი თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული. მაშინ მზრუნველმა მოახსენა ეპისკოპოსს, რომ უკეთუ ეს მასწავლებლები არ იქმნებიან მოცილებული ამ სკოლიდგან, შენობას აღარ დაანებებს სკოლისათვის. მოხსენება მოხსენებად დარჩა და მზრუნველმა შეასრულა დანაპირები.

ეხლა ეს მშვენიერი შენობა ყოველ-გვარის მოწყობილობით არის გამცდარი მხოლოდ იმისათვის, რომ კაცი არ არის წინ გაუძღვეს ამ საქმეს და ისევ რიგიანი სკოლა გამართოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ სხვა შემწეობასაც აღმოუჩენდა მზრუნველი ამ სკოლას, რომ ასე არ წასულიყო საქმე.

მშვენიერი ოთხ-თვალი ქვითკირის შენობა თვისის კარგად მოზრდილის ეზოთი და ყოველგვარის მოწყობილობით დიდს სიმდიდრეს შეადგენს სასოფლო სკოლისთვის და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სიმდიდრით ჯეროვნად ისარგებლებს ჩვენი საზოგადოება.

ჩხარელი.

1895 წ., 22 ივნისი.
დ. ჩხარი.

## წერილი კავკავიდან.

კვირას, 18 ივნისს, კავკავის ქართულ სკოლის დარბაზში დანიშნული იყო იმავე სკოლის წლიური კრება. დარბაზი ლამაზად იყო მორთული ხვეულის ყვავილებითა და ვარდებით. მიუხედავად ცუდის დარისა (წვიმა მოდიოდა), იმოდენა ხალხმა მოიყარა თავი, რომ საკმაოდ მოზრდილს დარბაზში ადგილი აღარ იყო. გარდა მოწაფეთა მშობლებისა, ბევრნი იყვნენ აგრეთვე საპატიო სტუმრები, მაგალ. არ. გ—ისძე ჭავჭავაძე, ინსპექტორი სახალხო სკოლებისა ბ-ნი ალ. ჭიჭინაძე და მრავალი სხ. კრება გაიხსნა „Царю небесный“-თა, რომელიც იგალობა მოწაფეთაგან შემდგარმა ხორომ. ამის შემდეგ მასწავლებელმა ბ მა ლ. ბოცვაძემ წაიკითხა სკოლის ანგარიში, რომელიც საყურადღებოთ მიგვაჩნია და, ამიტომ, აქვე მოგვყავს, მით უფრო რომ ანგარიში წაკითხულ იქმნა რუსულს ენაზედ და, უეჭველია, ბევრი ვერ გაიგებდა.

კავკავის ქართული სკოლა დაარსებულა 10 ნოემბერს, 1888 წ. ამ ხნის განმავლობაში სკოლაში მიუბარებიათ 150 ბავშვი, რომლებთაგანაც სწავლა დაუმთავრებიათ 25 მოწ. და მიუღიათ საშეღავათო მოწმობა სამხედრო ბეგარისა; 46 მოწაფეს ადრევე დაუნებებიათ თავი საკმაო წერა-კითხვის ცოდნით. ამ საანგარიშო წელს ყოფილა 90 მოწ. ორივე სქესისა: I განყ. 28 მოწ.—11 ქალი და 17 ვაჟი, მეII განყ. 37 მოწ.— 9 ქალი და 28 ვაჟი, მე-III განყ. 16 მოწ.—4 ქალი და 12 ვაჟი და მე IV განყ. 9 ვაჟი; წლის განმავლობაში სწავლისთვის თავი დაუნებებია მე-II განყ. ორს მოწ. (ხახიევი და ღუდუშაური), მე-III განყ. სამს (სუჯაევი, წიკლაური და ფიცხელაური), მე-IV განყ. ერთს (ნ. დავიდოვს).—ამ გვარად საანგარიშო წლის დამლევს ოთხივე განყოფილებაში ყოფილა 84 მოწ.—60 ვაჟი და 24 ქალი. ამათგან სწავლა დაუმთავრებია რვა მოსწავლეს (ვაჟებს) და ყველას მიუღია საშეღავათო მოწმობა სამხედრო ბეგარისა და საჩუქრადაც-წიგნები. წინა წლებში სწავლა დამთავრებულთაგან შვიდნი სწავლობენ ადგილობრივს დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში; ერთი გამოსულა გიმნაზიიდან სიღარიბის გამო; ერთი სწავლობს ტფილისის ნკოლოზის სამოქალაქო სასწავლებელში, დანარჩენნი-კი მისდევენ ან ვაჭრობას და ან რომელიმე ხელობას. სწავლისთვის უდროოდ თავის დანებება გამოუწვევია მშობლების უკიდურესს სიღარიბეს.—

სასწავლებელს აქვს საკუთარი საკმაოდ ფართო სახლი და პატარა ბაღი, რომელიც შეიცავს 250

---

მისაღწევად მის ხელთ იყო ყოვლიფერი. ტეხნიკამ იმ წამს ძმობის ხელი გაუწოდა საერთო საქმის შოვნისათვის და დაუყოვნებლივ საქმეს შეუდგნენ. მეურნე-კაპიტალისტმა არ დაიგვიანა და მალე გაიჩინა საუკეთესო გუთნები, სამკალ-სალეწი, სანიავო მანქანები და რამდენისამე თვისა და კვირის საქმე ერთ-ორს კვირას მოიშორა და ვიდრე უფულო მეურნე ხელით მომკიდ-გალეწავდა, იმან კიდეც გაასაღა თავისი მოსავალი, ისეც ერთი-ორად მოყვანილი. ამ უკანასკნელში მეცნიერებამ დაუფასებელი სამსახური გაუწია. მიწა ბევრის და დიდის ხნის ხმარების შემდეგ იძალებოდა და თან და-თან ღონეს ჰკარგავდა, მეურნეს თითქმის შრომა აღარ უფასდებოდა, ამ დროს აქ მეცნიერებამ (საგნების მეტყველებამ, ქიმიამ, მინერალოგიამ და სხ.) თავისი გამოკვლევა—დასკვნები მალე მეურნეს მოაშველა. აქაც, რასაკვირველია, ისევ ფულის მქონე მეურნემ ისარგებლა. იყიდა მაშინვე ის, რაც მისს ძალა გამოლეულს მიწას ღონის მისაცემად ესაჭიროებოდა და, როგორც ვსთქვით, მოსავალი ერთი-ორად გარდაექცა. ხარბმა კაპიტალმა, რა დაინახა რომ შრომა ერთი-ორად უფასდებოდა, მოსავალი სახლში არ ულპებოდა, იკმარა თავის მიწის სიცოტავე და შეუდგა მის გაფართოვებას. არც ეს გიუძნელდებოდა, რასაკვირველია. გაჭირვებული უფულო მეურნე მეზობელი სიხარულით დაუთმობდა. გაჩნდა აქ ბრძოლა, ბრძოლა მეურნეთა შორის და, როგორც სხვა წარმოება—ვაჭრობაში, აქაც კაპიტალი გაიმარჯვებდა. პატარა მეურნე, რომელიც ჯერ კიდევ ძველებურად, მამა-პაპურად მუშაობდა მამულს და რომლისამდინაც მეცნიერების ტკბილს სიოს ჯერ არ მიეღწია, იძულებული იყო ბრძოლის ველი დაეტოვებინა. გასწია ქალაქისაკენ თავისს ერთად-ერთ „საკუთრება—ხელებით“ და გაუწოდა ესენიც ისევ თავისს დამღუპველს კაპიტალს და ამით უფრო გაამწვავა ბრძოლა თავისს სოფლად დარჩენილ მოძმეებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ მაგრად სდგანან თავისს მეზობელ კაპიტალისტ-მეურნეს წინაამდეგ. დიაღ, ბრძოლაა სოფლად, მაგრამ ბრძოლა შეგნებული, რომელიც ეგრე ადვილი არ არის დასაძლევად.

ბრძოლა ჯერ კიდევ საიმედოა მაშინ, როცა ორთავ მოპირდაპირეთ ერთგვარი იარაღი მაინც აქვთ. ეს კარგად და მალე შეუგნიათ საფრანგეთის პატარა მეურნეთ და იმათ მომხრეებს და სცდილობენ თავისს მოპირდაპირესთანა იარაღის შეძენას, რომ, თუ გამარჯვებული არა, დამარცხებული მაინც არ იყვნენ. ესეთი იარაღი არის (ფული) კაპიტალი. სად მოიპოვოთ იგი თითოეულს მათგანს, როცა არა გააჩნდათ-რა. მაგრამ იციან და მტკიცედაც სწამთ გამოცდილებით, რომ ერთობას ბევრი რამ შეუძლიან. ის რაც თითოეულს შეუძლებლად მიაჩნია, ერთობით ის შესაძლებელია. ამ ცნების შეგნების ნაყოფი ის იყო, რომ დაარსდა სხვა-და-სხვა გვარი საზოგადოება, როგორც მეურნეთა შორის, ისე სამეურნეო, უადგილ-მამულო მუშებ შორისაც. საგანი ამ საზოგადოებათა სხვა-და-სხვა გვარია. ზოგი იზღვევს მოსავალს მრავალ-გვარ ზარალისაგან, ზოგი აწვდის კრედიტს გაჭირვებულს მეურნეს და სხვა-და-სხვა. სხვათა შორის, არა ნაკლებ საყურადღებოა ესრედ წოდებული „სინდიკატები“ (syndicat) (მოკლედ რომ გამოვხატოთ მათი აზრი, იგი არის „შუამავალი“) საგნად აქვთ დაეხმარონ თავიანთ წევრებს იმ სამეურნეო საგნების სყიდვაში, რომელიც მას ესაჭიროება. მაგ. სხვა-და-სხვა მანქანების სყიდვაში საერთო ან კერძო სახმარებლად, ყუდლოს სთესლს, ქიმიურს პატივს (engrais chimie) და სხვ. გარდა ამისა, ეს არის ადგილი (თუმცა არა მარტო ეს), სადაც შეუძლებელი მეურნე მეცნიერების სამეურნეო გამოკვლევასა და ნაცადს შეიტყობს, სადაც მეურნეები ერთი-ერთმანეთს უზიარებენ თავიანთს აზრს და უფრო და უფრო კავშირდებიან საერთო მტერთან საბრძოლველად. ზოგიერთს „სინდიკატს“ კაპიტალიც აქვს გაჭირვებულ წევრის დასახმარებლად.

მიზნის სიფართოვის მიხედვით, „სინდიკატები“ განიყოფებიან: სამაზრო, სათემო და სასოფლო სინდიკატებად. გამგეობა ამ ამხანაგობისა შესდგება 5 კაცისაგან. საწევრო გარდასახადი 1—2 ფრანკია, რომელიც ხმარდება წვრილმან საზოგადო საჭიროებას, მხოლოდ თუ საყიდელი აქვთ რამე, ამისთვის, რასაკვირველია, ცალკე უნდა გაიღონ ფული. აი როგორ სწარმოებს საქმე. დანიშნულს დროზედ ერთი შეგნებული მეურნე (წევრთაგანი). წაუკითხავს საზოგადოებას კონფერენციას, რომელშიაც მდაბიურად აუხსნის, მაგალითად, ამა-თუ იმ ქიმიურ პატივის მნიშვნელობას ამა-თუ იმ მცენარისათვის, დროს და მის ხმარებას და სხ. რამდენისამე ხნის შემდეგ წევრებს ურიგდებათ ფურცლები, სადაც მათ უნდა აღნიშნონ საყიდელი საგანი (ყველაფერი დაწვრილებით). შემდეგ ეს ფურცლები უბრუნდება ისევ გამგეობას. აქედგან გამგეობა იწყებს თავისს საქმეს. მყიდველი სრულებით დარწმუნებულია ნაყიდის სისაღეზედ; რომ მოტყუებული არ იქმნება გამგეობაა მისი თავდები.

ამ შუამავალ საზოგადოების სარგებლობა იმდენად შეუგნიათ ამ ბოლო დროს, რომ თითო მაზრაში, რამდენიმე თუ არა, ერთი მაინც არსებობს, იმის მიუხედავად, რომ მათი დაარსება მხოლოდ 1884 წ. დამტკიცდა ოფიციალურად. ამ საზოგადოების დაარსებას უფრო პატარა და საშუალო მეურნეები ეტანებიან. თითო საზოგადოებაში 1000—2000 წევრამდის ითვლება.

უადგილ-მამულო სამეურნეო მუშების საზოგადოებას აზრად აქვს—დაწესება დღიურის ფასისა და კონკურენციის მოსპობა მათ შორის იმ სათემოში (ერობაში, რომელსაც ესენი ეკუთვნიან. ამგვარი საზოგადოებანი არ არის გახშირებული.

რაც შეეხება მთავრობას *), მისი როლი მეურნეობაში იგივეა, რაც სხვა მრეწველობისა და წარმოების საქმეში. იმას ზრუნვა თვით უკისრია და კანონების გაუმჯობესებით ცდილობს მისს საუკეთესო გზაზედ დაყენებას. მისი ზრუნვა გამოიხატება ათასნაირ დაწესებულების დაარსებით, რომელთა მართვა-გამგეობა თითონ აბარია. ამ მხარეში არსებობს 8 სამეურნეო სასწავლებელი, 2 ფერმა—სკოლა (საერო), 2 ლაბორატორია და 4 აგრონომიული სადგური (Stations agronomiques el labaratoires agricoles). გარდა ამისა თითო მაზრაში დანიშნულია თითო მეურნეობის პროფესორი, დაწესებულია მინდვრების, თესლეულობის (პარისში), სამეურნეო მანქანების გამოსაცდელი ადგილები, საქონლის მოსაშენებელი სადგურები და სხვ. ამათ შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ნ. ა—ლი.

ქ. ნანსი.

(შემდეგი იქნება).

*) რაც ითქმის კერძოდ ამ მხარეზედ მთავრობის შესახებ, იგივეა სათქმელი საფრანგეთზედაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხ-კუთხს საჟენს. საანგარიშო წელს დაურგავთ ამ ბაღში 80-მდე სხვა-და-სხვა გვარი ხეები; ამ ხეების დარგვაში უმუშავნიათ მოსწავლეებს, მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ყოველს მოწაფეს ჰქონია მიზომილი თითო კვალი, რომელშიაც დაუთესნიათ მწვანილი და სხვა მცენარე და ამ საქმეს მოჰკიდებიან დიდის ხალისითა და სიხარულით. ჰყოლიათ აგრეთვე აბრეშუმის ჭიაც, რომლის მოვლა-მოშენებაზედ მასწავლებელს რამდენჯერმე ჰქონია საუბარი ბავშვებთან.

სრულის ერთობის დასამყარებლად ქართულ-რუსულის წერის შუა, სახალხო დირექტორის ნება-რთვით ირიბულის წერის მაგივრად შემოუღიათ პირდაპირი ხელი, რომელიც სასარგებლოდ უცვნიათ ამ უკანასკნელს დროს.

24 იანვარს ყოფილა ორი სანიმუშო გაკვეთილი, რომელსაც დასწრებიან დირექტორი და ინსპექტორი სახალხო სკოლებისა და კავკავის ყველა მასწავლებლები იმ სკოლებისა, რომლებიც ექვემდებარებიან დირექციას და ყველაზედ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია. ბ-ნს დირექტორს, გაკვეთილების გარჩევის შემდეგ, სკოლისათვის უძღვნია შემდეგი ქება: „კავკავის ქართული სკოლა სწავლა-აღზრდის მხრივ დაყენებულია იმდენად კარგად, რომ არა თუ ასწავლის, არამედ ზნეობრივადაც ზრდის, რაც უფრო ღირსია ყურადღებისაო".

წესიერი სწავლა დაწყებულა სექტემბრის 1-დამ ორის მასწავლებლის ხელმძღვანელობით დღეში ორჯელ: სადილობამდის და სადილს უკან; სადილს შემდეგ სწავლა ჰხმარდებოდა განმეორებას სადილობამდის გავლილის გაკვეთილებისას, მომზადებას შემდეგის დღისათვის, ხატვას, წერას, გალობას და ბაღში მუშაობას. საანგარიშო წლის განმავლობაში ბავშვები რამდენჯერმე დაჰკლებიან გაკვეთილებს თბილის ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის უქონლობისა გამო; მიზეზი ყოფილა აგრეთვე ავადმყოფობაც: ციებ-ცხელება, წითელა და სხ. ავადმყოფობის წინააღმდეგ მასწავლებლებს მიუღიათ შემდეგი საშუალება: გადამდების სენით ავადმყოფი ბავშვი მოუშორებიათ სკოლისთვის, რომ სხვასაც არ გადასდებოდა და მიუღიათ მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულიად განკურნებულა. კვირაში ერთხელ სკოლაში დაიარებოდა თურმე მკურნალი გ. გასუმიანცი, რომელიც სინჯავდა მოწაფეებს, უწერდა წამლებს, აძლევდა დარიგებას და ყველა ეს სრულდებოდა არა თუ მარტო სკოლაში, არამედ ავადმყოფთა სახლებშიაც.—

7 მარტს სკოლაში ბრძანებულა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, მღვდელ-მთავარი კავკავისა და მოზდოკისა, ვლადიმირი, გამოუცდია მოწაფეები სამღვთო სჯულიდგან, ანგარიშიდგანა და რუსულიდგან და კმაყოფილი დარჩენილა; აგრეთვე დარიგება მიუცია მოწაფეთათვის, დაურიგებია ჯვრები და პატარა წიგნაკები სარწმუნოებრივ-ზნეობრივის შინაარსისა. საგანი პირველ-დაწყებითის სკოლისა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ სასწავლო საგნები შეითვისონ, არამედ ზნეობრივს აღზრდაშიაც. ამიტომაც მასწავლებლები ცდილან მიეღწიათ ზემოხსენებულს საგნისთვის; განსაკუთრებითი ყურადღება მიუქცევიათ საღმრთო სჯულისთვის, საეკკლესიო გალობისათვის და სხ...

კვირა უქმე დღეობით მოწაფეები იკრიბებოდნენ სასწავლებელში, სადაც მასწავლებლები უხსნიდნენ დღესასწაულის მნიშვნელობას; შემდეგ მიჰყავდათ ოსების ეკკლესიაში და აშველიებდნენ ღვთის მსახურებისა და გალობის დროს. მასწავლებლები სკოლაში იწვევდნენ მოწაფეთა მშობლებს, ხან თვითონ დაიარებოდნენ მათს სახლებში და ესაუბრებოდნენ, რომ უფრო ცხოველი მონაწილეობა მიეღოთ ბავშვების აღზრდასა და სკოლის დახმარებაში.

სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ საზოგადოება თან-და-თან ფხიზლდება და გრძნობს, რომ სკოლა და ოჯახი ორგანიულად გადაბმულია საზოგადო ინტერესებით. და თუ ეს ერთობა კვლავ განვგრძობა და უფრო დამკვიდრდება, მაშინ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ მომეტებულს წარმატებას ვეღირსებით. მოღვაწეობა ყოველ სასარგებლო დაწესებულებისა დამოკიდებულია აგრეთვე მისს მატერიალურს მდგომარეობაზედაც. მატერიალური მდგომარეობა კავკავის ქართულ სკოლისა საანგარიშო წელს წარმოადგენდა შემდეგს:

1 სექტემბრისთვის 1894 წლისა დარჩენილა 233 მან. და 94 კაპ. საანგარიშო წლის განმავლობაში შემოსულა 2217 მან. და 59 კაპ. მაშასადამე, შემოსავალი ყოფილა სულ 2451 მან. 53 კაპ, აქედგან დახარჯულა წლის განმავლობაში 1348 მან. და 34 კაპ. და ამა წლის 1 მაისისათვის დარჩენილა 1103 მან. და 19 კაპ.

ეს ფული სკოლას ვერა ჰყოფს უზრუნველად ნივთიერად, რადგანაც არა აქვს მუდმივი წყარო შემოსავლისა. ვიმედოვნებთ, რომ აქაური საზოგადოება, რომელიც ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდა სკოლას, კვლავაც არ დასტოვებს უყურადღებოდ და მისცემს საშუალებას, რომ სკოლას შემდეგში მეტი გაუმჯობესება და წინსვლა დაეტყოს.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ მოწაფეებმა წაიკითხეს რუსული და ქართული ლექსები; ხორომ იგალობა სიმღერები. აი სიაც სიმღერა-ლექსებისა:

„თამარის დროშა გაშალეს" იგალობა ხორომ, „Лжецъ" წაიკითხა ცაბოლოვმა, „წიწილა და ქორი" წაიკითხა მალაშვილმა, „Во Лузяхъ" იგალობა ხორომ, „მელია და დათვი" წაიკითხა მარკოზაშვილმა, „წარვედ წყლის პირსა" იგალობა ხორომ, „Родина" წაიკითხა სხირტლაძემ, „ღამურა" წაიკითხა ჩიბიკაშვილმა, „Да вскипитъ фіялъ заздравный" იგალობა ხორომ, „დაჭერილი ჩიტი" წაიკითხა მრევლოვისამ, «ილოცე ბავშვო!» ქართულად წაიკითხა გვარამაძემ, „მუმლი მუხასა" იგალობა ხორომ, „Мальчикъ съ ноготокъ" წაიკითხა ფარადაშვილმა და „გალიაში რომ გაგზარდე" იგალობა ხორომ.

ბავშვები ლამაზად და მკაფიოდ კითხულობდნენ ლექსებს; განსაკუთრებით კარგად წაიკითხა სულ მცირე წლოვანმა გვარამაძემ. ხოროც მწყობრადა გალობდა; ბავშვები დამსწრე საზოგადოებამ დააჯილდოვა ხანგრძლივის ტაშის ცემითა და „ვაშას" ძახილით. დასასრულ ხორომ იგალობა „Боже, царя храни" და „მრავალ-ჟამიერი" და აქტიც დასრულდა.

აქტთან ერთად დანიშნული იყო ესრედ წოდებული „ბაზრობაც", რომელზედაც ისყიდებოდა სკოლის სასარგებლოდ სხვა-და-სხვა მოწაფეთა ხელთ-საქმე და შეწირული ნივთება, რომლებიც საკმაოდ გაისყიდა. სწორედ დიდის მადლობის ღირსნი არიან ამა „ბაზრობის" მოთავენი.

ბ. დ—ლი.

## დებულება წვრილის კრედიტის დაწესებულებათათვის.

(უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა 1 ივნისს, 1895 წ.)

1. ამ დებულებით იმოქმედებენ შემდეგი დაწესებულებანი: ა) საკრედიტო ამხანაგობანი, ბ) შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი და კასსები და გ) სოფლის ბანკები და კასსები.

შენიშვნა. მოწყობა და ის, თუ როგორ უნდა შესდგნენ ამ ჟამად ზოგიერთს ადგილებში არსებული დამხმარებელი და გამსესხებელი კასსები სახელმწიფო გლეხებად ნამყოფთა, საუფლისწულო სასოფლო ბანკები, შემნახველ-გამსესხებელი კასსები და სხვა ამგვარი დაწესებულებანი, გამოირკვევა მათთვის განსაკუთრებით გამოცემულ წესდებითა და კერძო კანონებით.

2. წვრილის კრედიტის დაწესებულებათ (1 მუხლი) აზრად აქვთ მცირედ შეძლებულთ პირთ, სოფლის საზოგადოებათ, აგრეთვე ამხანაგობათ, მუშათა ამხანაგობათ და სხვათ ამგვარად შეკავშირებულთ, რომლებიც მათთვის დამტკიცებულ წესდებათა ძალითა ან ხელ-შეკრულობით არსებობენ, რამდენადაც-კი შესაძლებელია: ა) აძლიონ სესხად ფული შეღავათიან პირობებით სხვა-და-სხვა სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მოთხოვნილებათათვის და ბ) მიიღონ შესანახად ფული სარგებლით თანხის გასაძლიერებლად.

3. წვრილის კრედიტის (მუხლი 1) დაწესებულებათა სამაგალითო წესდებანი მტკიცდებიან ფინანსთა მინისტრისაგან შინაგან საქმეთა და სამიწათ მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრთა თანხმობით, ხოლო იმ ადგილთათვის, რომელნიც სამხედრო სამინისტროს გამგეობის ქვეშ იმყოფებიან, ასეთი შეთანხმება სამხედრო მინისტრთან მოხდება ხოლმე. კერძო წესდებანი თითოეულის ცალკე დაწესებულებისა და აგრეთვე იმათი შეცვლა, თანახმად ამ დებულების დადგენილებათა, მტკიცდებიან ფინანსთა მინისტრისაგან იმ მინისტრის თანხმობით, რომლის გამგეობის ქვეშაც თვით ეს დაწესებულება იმყოფება (მუხლი 23).

4. წვრილის კრედიტის დაწესებულებათ (მუხლი 1) შეუძლიანთ მიიღონ შეწირულებანი, შეიძინონ ადგილ-მამული, შეეკრან სხვა დაწესებულებათ პირობებითა და ხელ-შეკრულობით, ექონ სამართალი და აგრეთვე პასუხი აგონ სასამართლოს წინაშე. უძრავის ქონების საკუთრებით შეძენა ამ დაწესებულებათ მხოლოდ კანონსა და წესდებაში აღნიშნულს შემთხვევაში შეუძლიანთ (მუხლი 3).

5. საკრედიტო ამხანაგობანი (პ. ა. მუხლი) არსდებიან იმ თანხით, რომელსაც მათ ხაზინა ან სახელმწიფო ბანკი აძლევს სესხად ამხანაგობის ყველა წევრთა თავდებობით. ამხანაგობათ შეუძლიანთ გარდა ამისა დაარსდნენ კიდევ ერობათა, საზოგადოებათა, კერძო დაწესებულებათა და კერძო პირთა მიერ შეწირულ ფულით, ან და ამავე დაწესებულებათა და პირთაგან ამხანაგობის ყველა წევრთა თავდებობით სესხად აღებულ ფულით.

6. შემნახველ-გამსესხებელნი ამხანაგობანი და კასსები (პ. ბ. მუხლი 1) არსდებიან ამხანაგობის წევრთა შესატან ფულით (პაებით) ერთ-ხელობად ანუ ნაწილ-ნაწილად. ამ თანხას მიემატება აგრეთვე ერობათა, საზოგადოებათა, კერძო დაწესებულებათა და კერძო პირთა შეწირულებანი და ამ დაწესებულებათა და პირთაგან საზოგადოების ყველა წევრთა თავდებობით სესხად აღებული ფული.

7. სასოფლო და სხვა ამგვარი ბანკები და კასები (პ. ბ. მუხლი 1) არსდებიან სასოფლო საზოგადოებისაგან დანიშნულ თანხით, და აგრეთვე ხაზინისა, ერობათა, საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთაგან შეწირულ ფულით, ანუ ამავე დაწესებულებათა და პირთა მიერ სესხად გაცემულ ფულით სასოფლო საზოგადოებისა და სხვა საზოგადოებათა თავდებობით საყოველთაოდ სავალდებულო განაჩენის დადგენით.

8. იმ პირს, რომელიც ან შესწირავს, ან და ძალიან შეღავათიან პირობებით ასესხებს თანხას წვრილის კრედიტის დაწესებულების დასაარსებლად, და აგრეთვე მას, ვინც ფულს შესწირავს, რომ დაწესებულების მწარმოებელი თანხა გაძლიერდეს, მიეცემათ შემდეგი უპირატესობანი: ა) წოდება ამ დაწესებულების მზრუნველისა და უფლება, რომ ამ დაწესებულებისაგან დროგამოშვებით თანხის წარმოების შესახებ ცნობები მოითხოვოს ხოლმე. ბ) უფლება იმისი, რომ რევიზია უყოს საქმის წარმოებასა და ანგარიშს და აგრეთვე სახელმწიფო რევიზიაშიაც მიიღოს მონაწილეობა (25 მუხლი და პ. 1 მუხლი 28) და გ) დამაარსებელს აქვს უფლება დაწესებულებას თავისი სახელი დაარქვას.

ერობათ, საზოგადო და კერძო დაწესებულებათ, რომელთაც ან შეუწირავთ, ან უსესხებიათ თანხა ზევით აღნიშნულის აზრით, ეძლევათ უფლება ამხანაგობას, ბანკს ან კასსას მზრუნველი დაუნიშნონ, დრო-გამოშვებით ანგარიში მოსთხოვონ საქმის მიმდინარობის შესახებ და აგრეთვე გაუკეთონ რევიზია და სახელმწიფო რევიზიაში მონაწილეობა მიიღონ.

9. მონაწილენი და წევრნი საკრედიტო საზოგადოებისანი (პ. ა. მუხლი 1), შემნახველ გამსესხებელ საზოგადოებისანი ანუ კასსებისა (პ. ბ მუხლი 1) ამ ამხანაგობათა ვალდებულებისა გამო პასუხის მგებელნი არიან საერთო თავდებობის ძალით. რაში და როგორ არიან პასუხის მგებელნი, მოხსენებულია წესდებაში (3 მუხლი). სასოფლო, სოფლის საზოგადოებათა და სხვა ამგვარ ბანკებისა და კასსების ვალდებულებანი (პ. გ, მუხლი 1) უზრუნველ-ყოფილ არიან სოფლისა, სოფლის საზოგადოებისა და სხვა საზოგადოებათა პასუხის მგებლობით, ანუ საერთოდ მის ყველა წევრთა თავდებობით თანახმად საზოგადოდ დადგენილ განაჩენისა.

10. ის პირნი, რომელნიც საკრედიტო ამხანაგობისა, აგრეთვე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა და კასსების ვალდებულებით პასუხის მგებელნი არიან, ამხანაგობისა ანუ კასსის საქმეთა მართვაში მონაწილეობას იღებენ. წესი მონაწილეობის მიღებისა ნაჩვენებია წესდებაში (მუხლი 3).

11. იმათ, ვინც რომელისამე საკრედიტო ანუ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრებად ითვლებიან, არ შეუძლიანთ იმავ დროს წევრობა სხვა ამგვარ ამხანაგობისა.

12. შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თითოეულს წევრს მხოლოდ ერთის საწევრო ბარათის (პაის) შეძენა შეუძლიან (მუხლი 6). პაი არ უნდა იყოს 100 მანეთზედ მეტად ღირებული. დაგირავება ან გადაცემა პაისა, ან საწევრო შესატან ფულის სხვა ვისმეზედ გადატანა, წევრი იქნება იგი თუ გარეშე პირი, შეუძლებელია.

(დასასრული იქნება).

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

განვაგრძობთ „მოსკოვის უწყებების" კორესპონდენტის წერილიდგან სომხების შესახებ:

„ვილაც სომეხმა დიევმა გამოსცა ბროშურა, რომლითაც ამტკიცებს, რომ სანამ ისტორიულად არ გამოვარკვევთ სომხების თაობაზედ ყველაფერს, მანამ არ გადაწყდება საბოლოოდ სომხეთის საქმეებიო.

შემდეგ სწერს: ოსმალოს სომხები დარწმუნებულნი არიან, რომ რუსები იმათ არას დაუშლიან; შიში არა აქვთ თავისს სარწმუნოების შებღალვისა და ამისათვის გადმოსახლდნენ რუსეთში, ერევნისა და განჯის გუბერნიებშიო. აქედგან სჩანს, რომ სომხები რუსეთში მოსული ხალხია, მკვიდრი არ არის და რათ გაიძახიან რაღაც „სომხეთი", მე ეს მაკვირვებს? კიდევ უცნაურს ამბებს შეგატყობინებთ... სომხები ყოველგვარ ხერხს ხმარობენ და ცბიერობით, მტაცებლობით ეტანებიან საქართველოში და ამიერ-კავკასიაში დასახლებას. ყარსის აღების შემდეგ 100-ათასზედ მეტი ოსმალო გადასახლდა ოსმალეთში. ჯერ კიდევ იმათ ნასახლარზე კერა არ გაცივებულიყო და სომხები კალიასავით გაჩნდნენ! ღენერალ ტერ-გუკასოვმა 3.000 სომეხი დაასახლა ერევნის გუბერნიაში და სახელმწიფო ქონებათა მმართველმა ხატისოვმა 2000 ოჯახი დაასახლა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულებში! ასე ამგვარად სომხები აბარგებული ხალხია და არსად, არც ოსმალეთში, არც რუსეთში იმათ ნიადაგი არა აქვთ. სადაც ვაჭრობა შეეძლებათ, იქ მოთავსდებიან და შეეთვისებიან! გვიჩვენეთ მაშ, სად არის ეს სომხეთის სახელმწიფო"?!

—

ფრანგულს გაზ. „ეკლერ"-ში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი რუს-ფრანგთა კავშირის შესახებ:

„რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ აუწყა რუსეთის ყველა საზღვარ-გარეთელს ელჩებს, რომლითაც დაბეჯითებით ჰხსნის და სარწმუნოდ სთვლის ჰანოტსა და რიბოს მიერ რუს-ფრანგთა კავშირის შესახებ წარმოთქმულს სიტყვას.

უცხადებს რა რუსეთის მთავრობა ყველა თვისს საზღვარ-გარეთელს წარმომადგენელს, რომ საფრანგეთის მინისტრთა მიერ წარმოთქმული აზრი მართალია, ურჩევს მათ არავითარი კამათი და ლაპარაკი არ იქონიონ ხოლმე ამ საგნის შესახებ უცხოელ დიპლომატებთან. რუს-ფრანგთა კავშირს, მხოლოდ ერთი აზრი აქვს, ამბობს მინისტრი,—სახელდობრ ის, რომ ევროპაში ომი არ

მოხდეს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ევროპის შიდა სახელმწიფოთა კავშირმაო.

რადგან სამთა სახელმწიფოთა კავშირი რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, ამიტომ ეს უკანასკნელნი იძულებულნი იქმნენ თავი დაეფარათ როგორმე. როსეთსა და საფრანგეთს ეს უფრო ადვილად შეეძლო, რადგანაც ეს ორი ერი მუდამ უფრო დაახლოვებული იყო ერთი მეორესთან და არც თუ რაიმე პოლიტიკური განხეთქილება არსებობს მათ შორის; ამიტომ ეს გარემოება საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენდა, რომ რუსთა და ფრანგთა შორის ასეთი კავშირი დაარსებული იყო. ეს კავშირი წარსულ მეფობის დროს მოხდა, კარნოს პრეზიდენტობის დროს და ამას ზედ დაერთო სამხედრო კონვენციაო.

დასასრულ მოხსენებულია, რომ კავშირს მხოლოდ მოგერების ხასიათი აქვს და აზრად ის, რომ მთელის ქვეყნისათვის მშვიდობიანობა უზრუნველ-ჰყოსო.

---

# უცხოეთი

**ინგლისი**. ინგლისის რადიკალებმა უკვე დაიწყეს საარჩევანო ბრძოლა. ახლად გამოვიდა რადიკალთა პარტიის ერთის წევრის მანიფესტი, რომელშიაც დეპუტატი აცხადებს, რომ სამუდამოდ მოსპობილ უნდა იქმნას ლორდთა პარლამენტი, რადგანაც ლორდები ყოველთვის წინააღმდეგნი არიან ხალხის სურვილისა და განზრახვისაო. გარდა ამისა მანიფესტი თხოულობს ქვედა პარლამენტის წევრთათვის ჯამაგირის დანიშვნას, რათა მუშა ხალხს შეეძლოს თვისის შეუძლებელის მოძმეების არჩევა და პარლამენტში გაგზავნა.

—

გაზეთ „ნოვ. ობოზრ."-ის ლონდონელს კორესპოდენტს ჰქონია ბაასი ინგლის-სომეხთა საზოგადოების ერთ-ერთ მმართველთან, რომელიც დაბეჯითებით ამბობს, რომ სამინისტროს შეცვლით ინგლისის პოლიტიკა სომეხთა შესახებ არ შეიცვლებაო.

—

**ისპანია**. კუნძულ კუბიდან მარშალი კამპოსი სწერს დეპეშით მთავრობას, რომ კუბის მცხოვრებთა ბრძოლა ისპანიისაგან განთავისუფლებისათვის თან-და-თან ძლიერდება; ჯარებს გაძლიერება უნდა, იწერება მარშალი, მაგრამ ახლა წვიმების გამო ლაშქრობა უნდა შეჩერდეს და შემოდგომისათვის უნდა შევემზადოთო. მთავრობას განუზრახავს 100 ათასამდე გააძლიეროს ჯარი აჯანყებულთა საწინააღმდეგოთ.

---

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

საყურადღებოა, რაგვარს ხელობას არ მოჰკიდებენ ხოლმე ხელს ამერიკელი ქალები. ერთს ახალგაზდა ქალს ნიუორკში მშობლები მოუკვდა და სრულიად უშემწეოდ დარჩა; მაგრამ ქალმა ერთს მშვენიერს დღეს გამოძებნა ხელობა—დაუწყო თავისს ნაცნობების ძაღლებს წმენდა, ვარცხნა და წვრთნა. ამ შრომის ფასად ქალი თითო დოლარს იღებდა კვირაში. ამ ქალს მალე სხვა წამბაძავნიც გაუჩნდნენ და ამ ჟამად ნიუორკში ასზედ მეტი ქალი ამ ხელობით ირჩენს თავს.

უფრო უცნაური ხელობა გამოიგონა ერთმა ნიუორკელმა ქალმა თავის და ორის თვისის ქალისათვის. ადგნენ და თვისს ნაცნობების ახალს ფეხსაცმელს დაუწყეს ტარება თითო-ოროლა დღით, რადგანაც ახალი ფეხსაცმელი პირველ ხნობაზედ ფეხსა სტკენს. ამგვარად ეს ქალები თავისს ნაცნობ ქალებისაგან იღებდნენ ფეხსაცმელსა, რასაკვირველია, რომელიც-კი ფეხზედ კარგად მოუვიდოდათ, და რამდენსამე დღეს ატარებდნენ. ამ ქალებს მუდამ ახალი კოხტა ფეხსაცმლები აცვიათ და მათს კლიენტ ქალებს კიდევ სრულიად გახალკათებული ფეხსაცმლები, რომლებიც აღარც ფეხს სტკენენ და აღარც ოფლი და სიცხე აწუხებთ. ერთმა ინგლისელმა ქალმა შესანიშნავი ნიჭი გამოიჩინა სტოლის მოწყობისა და დალაგებისა. იმდენად ბევრი გამოუჩნდა საქმე, რომ მალე თანაშემწეც დასჭირდა. თითო სათში 2—4 შილინგს იღებს ეს ქალი.

კიდევ ერთი ხელობა გაიჩინეს ქალებმა—მტვრის გადაწმენდა. ამ ქალს ავალებენ დიდ-კაცების სახლში ფაიფურისა და სხვა ძვირფას ნივთებიდგან მტვრის გადაწმენდას, რასაც ისე ადვილად არ ანდობენ ხოლმე მოსამსახურეთ. თითქმის ყველა დიასახლისს გამოუცდია, რამდენს ძვირფასს ნივთს გამოჰსალმებია მოსამსახურეთა დაუდევრობისა და გულგრილობისა გამო. ეს ქალი პასუხის-მგებელია ყველა გატეხილ ნივთისა. გარდა ამისა ქალებივე ჰკრეცხენ ვერცხლის იარაღს, ძვირფასს ქსოვილებს, სურათებსა და სხვათ. მოხერხებული ქალები ამასაც-კი სჩადიან; კისრულობენ ნაცნობ ოჯახებისათვის ყველა საჭირო ნივთებისა და საგნების ყიდვას, რაშიაც ათს % სარგებელს იღებენ ნაყიდ ნივთებზედ; მიუხედავად ამისა ნივთების პატრონი მაინც შედარებით ძალიან იაფად იღებს ნივთებს, ვიდრე მოსამსახურეთაგან ნაყიდს.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის" საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ მიხეილ ლელაშვილსა და ერთს პირს, რომელმაც სახელისა და გვარის გამოცხადება არ ისურვა გაზეთში და რომელთაც შეძლებისა დაგვარად არ დაიშურეს წიგნების მოწოდება—შემოსწირეს გორის საზურაბო ლის უფასო სამკითხველო-წიგნთ-საცავს,—სახელდობრ პირველმა შემოსწირა: 1) მეველე, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა; 2) თავადი იერონიმე—მისივე; 3) პრაქტიკული სახელმძღვანელო აბრეშუმის ჭიის მოსაშენებლად, ალოიზისა; 4) გამოჩენილი კაცები—სენ-სიმონისა; 5) ცხოვრება დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა; 6) უმანკო ვოლტერისა, ნათარგმნი თ. სახოკიას მიერ; 7) ცრემლები—ლექსები დუტუ მეგრელისა; 8) სამშობლოს სიყვარული—ყიფიანისა; 9) თ. ნ. ბარათაშვილი—კონსტანტინე მამაცაშვილისა; 10) ორშა—პოემა ლერმონტოვისა; 11) ხატის მიზეზი?—ი. გოგებაშვილისა; 12) სამი არაკი; 13) სალამური ანუ ლექსთა კრება № 1—ჭიჭინაძისა; 14) სვიმონ მეფე—დავ. კარიჭაშვილისა; 15) ტყვეით მოკლული—მ. ლელაშვილისა; ლექსი სამი ცალი; 16) „სამები" სიდოთაძის ლექსები; 17) ბუნების მოყვარენი—სოლ. მესტიაშვილისა; 18) სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს—ლ. ტოლსტოისა, თარგ. მალ. ბოლქვაძისა; 19) მოღალატე ძმა—პოემა მ. ლელაშვილისა; 20) არჩილიანი ანუ მეფის თეიმურაზ პირველის ცხოვრება—თქმული არჩილ მეფის მიერ; 21) ჯეჯილი 1890 წ. №№ 3, 4 და 5. მეორემ შემოსწირა: 30 ლოცვანი, 10 ცალი შვიდთა ყრმათა ეფესელთა, 1 ცალი გვარგვინი, 1 ცალი მოკლე ისტორია საქართველოსი—ცანცაევისა, 1 ცალი ცხოვრება დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა, 1 ცალი ცხოვრება დიდისა მოწამისა ეკატერინასი, 1 ცალი ისტორია თამარ დედოფლისა და სხვანი.

ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ ყველა წიგნების გამომცემელთ, ნუ დაიშურებენ თითო წიგნს თავიანთის გამოცემისას ზემოთ მოხსენებულის სატუსაღოს წიგნთ-საცავისათვის.

ბლაღოჩინი, გორის საკრებულო ტაძრის მღვდელი იოელ გამრეკელი.

21 ივნისი, 1895 წ.

---

### პეტერბურგის ბირჟა, 27 ივნისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,40 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . | 208 | — „ | — „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . | —„ | — „ | 101½ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⅝ | — „ | — „ |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ზ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათობით.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპ[illegible] აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)



ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდა გასასყიდად.

## სახელმძღვანელო

ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის.

შედგენილი ფილიმონ ქორიძის მიერ.

ფასი წიგნისა სამი აბაზი.



## „სიჭაბუკის ცოდვა"

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის აცენზურო კომიტეტის მიერ.

ს საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

36—1—7



ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი

## სოკრატი.

თარგმანი მ. შარაძისა, გამოცემა შარაძისა და ამხანაგობის სტამბისა. წიგნი 64 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით ყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 21 „ივერიის" რედაქციის ქვეშ.



„წერა-კითხვის საზოგადოების"

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 60 |



## ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.



იბეჭდება და მალე გამოვა

## პ. ს. მესხის

## დრამატიული ნაწარმოები

სამ წიგნად.

წიგნი პირველი:

1) **თამარ ბატონიშვილი**, ხუთ-მოქმედებიანი დრამა.
2) **ბაგრატ მე IV, იმერეთის მეფე**, დრამა 4 მოქმედებად.
3) **ქარაფშუტა**, სამ-მოქმედებიანი კომედია.

მეორე წიგნი:

1) **რუსთაველი**, ოთხ-მოქმედებიანი პიესა.
2) **სამშობლოს სადიდებლად**, ტრაგედია ხუთ-მოქმედებად.
3) **შეშლილი**, ორ-მოქმედებიანი პიესა, თარგმანი.

მესამე წიგნი:

1) **ირაკლი მეორე**, ხუთ-მოქმედებიანი დრამა.
2) **ჭირვეული ქალის მორჯულება**, კომედია შექსპირისა, მოხერხებული ქართულ სცენისათვის.
3) Madame Sans-Gêne, (მოურიდებელი ქალბატონი) თარგმანი.

ვინც **დაბეჭდვამდე**, ახლავე, გამოიწერს, სამივე წიგნი დაეთმობა 2 მან. დაბეჭდვის შემდეგ 3 მან. ვინც 20 **ეგზემპლიარს ერთად** გამოიწერს, თითო ეგზემპლიარი (სამი წიგნი) დაეთმობა 1 მ. 50 კ. გამოსაწერად იმართონ „ივერიის" რედაქციაში, **პ. ს. მესხს.**